მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა


| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|
| მ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | |
| 5 | 2 50 | 1 25 | — 50 | თფილისში. |
| 6 | 3 — | 1 50 | — 60 | თბილ. გარ. |
| 10 | 5 — | 3 — | 1 — | საზღ. გარ. |

„ჩერნომორსკი ვესტნიკის“ სიტყვით პეტერბურგში დაუტუსაღებიათ ი. ჭავჭავაძე და ი. რამიშვილი.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10—ს. 2 ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ.

ა დ რ ე ს ი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა, № 117.

№ 31

შაბათი 15 ივლისი 1906 წ. თბილისი

№ 31

ქართული წარმოდგენა
ფუნიკულერზე.

ვინც წარმოდგენის ბილეთს იყიდის, იმას უფასოდ აიყვანენ და ჩამოიყვანე. ფუნიკულერით.

შაბათს, 16 ივლისს

ქართულ დრამატიულ დასის მიერ ახლად კამართულ სცენაზე გაიმართება ორი წარმოდგენა

წარმოდგენილი იქნება:

ტრამვაის უსაქმურად დარჩენილ მოსამსახურეთა სასარგებლოდ

ეხლანდელი სიყვარული

კომ. 3 მოქ. აბაშიძის მიერ გადმოკეთებული.

—

კვირას, 16 ივლისს

წარმოდგენილი იქნება

ვაის გავეყარე—ვუის შავყევარე!

ეხიარ. კომ. 3 მ. გუნიას მიერ გადმოკეთებული.

მონაწილეობას ღებულობენ: ვ. აბაშიძე, ვ გუნია, დ. ივანიძე, ა. იმედაშვილი და სხვანი.

წარმოდგენა დაიწყება 8. საათზე, გათავდება 10-ზე.

დაუკრავს გურულების ორკესტრი.

ადგილების ფასი ფინიკულერზე ასვლა-ჩამოსვლით 40 კ-დან 1 მ. 50 კ—მდე.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება 1) წერა-კითხვ. წიგნის მაღაზიაში 2) „პროგრესის“ მაღაზიაში ბულვარზე და 3) გიორგი ქორქაძესთან, სიონის ქუჩაზე, ხოლო წარმოდგენის დღეს ფუნიკულერის კასასთან.

საჭმელ-სასმელების ფასი ერთიორად დაკლებულია,

წარმოდგენის გამგენი ვ. აბაშიძე და ვ. გუნია.

## რ ა ვ ქ ნ ა თ?

რა ამაგრებს იმ თავისუფლებებს, რომლებიც უკვე დაიპყრო ხალხმა? ის თავისუფლების ნამცეცები, რომელსაც გაუმაძღარი ბურჟუაზია და გალაღებული სახელმწიფო ითმენენ დაცულია არა „კანონით“, არამედ იმ ძალით, რომელსაც ხალხი დახარჯავს ამ თავისუფლებების შესარჩენად. ახალი და ძველი თავისუფლებების განხორციელება, მათი ხარისხი გაიზომება ამ თავისუფლებისთვის მებრძოლ ძალების ხარისხით და არა „კანონებით“. „კანონები“ გზაში უდგია თავისუფლების განვითარებას და აბრკოლებს მათ პროგრესიულ მსვლელობას, მაშინ როდესაც ჩაგრულთა და გაყვლეფილთა ძალა სათავეში უდგია თავისუფლებას, რომლისთვინაც ის მამოძრავებულ ძალას წარმოადგენს.

მაშასადამე თავისუფლება, რომელიც ნება დართულია „კანონით“, თავისუფლება, რომელსაც ვითომ „კანონი“ იცავს, არის თავისთავად, რეალური, ნამდვილი სოციალური მოვლენა, რომლის დაცვაში „კანონს“ და მის აღმასრულებლებს არავითარი ღვაწლი არ მიუძღვისთ; წინაამდეგ ამისა თავისუფლება არსებობს წინაამდეგ და გარეშე ყოველ გვარ კანონიერებისა.

ვისაც სიტყვის თავისუფლება სურს ის ყველა შემთხვევით უნდა სარგებლობდეს დაარღვიოს „კანონი“ სიტყვის თავისუფლებაზე. ვისაც წერის თავისუფლება სურს ის უნდა სარგებლობდეს შემთხვევით და უნდა სწერდე' თავისუფლად. ვისაც კრების თავისუფლება სურს, ის უნდა ცდილობდეს მოახდინოს კრებები, რომელზედაც თავისუფალი აზრები უნდა გამოითქვას. თავისუფლებას არავინ იძლევა, ჩვენი თავისუფლება ჩვენი ხელებით უნდა დავიპყროთ, „კანონი“ კი შეაჩერებს ჩვენ მსვლელობას თავისუფლებისაკენ იქ, სადაც ჩვენი ძალები აღმოჩნდებიან მტრის ძალებზე უმცირესი. ვისაც სურს მონობას თავი დააღწიოს, ის უპირველესად უნდა აჯანყდეს მტარვალის წინაამდეგ. უპირველესი ჩვენი მოვალეობა ჩვენივე თავის წინაშეა, მაგრამ თუ გვინდა ამ მოვალეობას პასუხი გავცეთ და ჩვენი დაცემული მდგომარეობიდგან აღვსდგეთ, მაშინ ამასთანავე უნდა ვსცდილობდეთ ავსწიოთ დაცემული სული ჩვენი დაჩაგრულობის ამხანაგებშიც. უსწავლელმა სწავლაზე უარი არ უნდა თქვას იმ მოსაზრებით, რომ უსწავლელი ვარო; ვინც ცურვა არ იცის იმან ცურვით უნდა დაიწყოს ცურვის სწავლა, და არ იმართლებდეს თავის არ ცოდნას არ ცოდნით; ვინც თავისუფლების მოწყურებულია, მოსურნეა, იმან უნდა დაიწყოს იმით, რომ თავის წყურვილი დაიკმაყოფილოს, თავისი სურვილი საქციელად აქციოს.

**რევოლიუციონური ზნეობა თავისი რევოლიუციონური—თავისუფლების—სურვილის საქციელად ქცევაა.** ამ გვარი სურვილის გულში ჩაკვლა კი **მონური ზნეობაა.**

გვინდა „კავშირების და ორგანიზაციების“ თავისუფლება? გვინდა. მაშასადამე შევკავშირდეთ და მოვაწყოთ ორგანიზაციები თავისუფლად. ყველა მიყრუებულ სოფლებში, დაბებში და ქალაქებში სოკოსავით უნდა ჩნდებოდენ და იზრდებოდენ რევოლიუციონური წრეები, მუშათა კავშირები და სხვა.

როდესაც რევოლიუციაში პირადად და პირდაპირ მივიღებთ მონაწილეობას, უეჭველია უფრო შევიგნებთ რევოლიუციის საჭიროებებს, ვინემ შეხუთულ ჰაერიან ოთახში „შეხუთულ ტვინისაგან“ დაწერილ წიგნიდგან.

ქვეყანაზე ათი და ასი ათასობით ირიცხებიან ისეთნი, რომლებიც თვით უწოდებენ თავის თავს „რევოლიუციონერებს“, მაგრამ მათი ისტორიის არც ფურცლებზე და არც ყდაზე არ არის აღნიშნული არც ერთი რევოლიუციონური აქტი. ჩვენში და მთელ ევროპაში არსებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მუდამ აკერია პირზე: „რევოლიუცია“, „რევოლიუციონური ბრძოლა“, „შეიარაღებული აჯანყება“, მაგრამ, რომ დასჭირდეს მთავრობას თავის ჩამოსახრჩობი ბაწარი ან დანა, იმასაც კი ვერ მიაწოდებენ მსწრაფლად, ასე რომ გეგონებათ ან მთავრობა სძულს და თავის ჩამოსაღრჩობ ბაწარს არ ათხოვებსო, ან არ უნდა გასვაროს თავისი „ზავიალოვის“ ჯაყვა მთავრობის შავ სისხლშიო.

ამგვარი სოციალ-დემოკრატიული სტრატეგია „რევოლიუციონურ ბრძოლისა“.

მისი ტაქტიკა კი მისა სტრატეგიის ღირსი და შესაფერია. თუ გონება გაგიწყრათ და ტაქტიკაზე ჰკითხეთ რამე, ის მედიდურად წამოისროლის ერთ სიტყვას: „პარ—ლა—მენ—ტი“. თუ თქვენ უგუნურ რევოლიუციონურ თავში არაფერი რევოლიუციონური სურათები არ აღძრა ამ სიტყვამ, მაშინ მოგდგება და გაგაყრუებს: „საკანონდებლო მოღვაწეობით“, „სამუშაო კანონმდებლობით“ და სრულებით ერთ კრინტსაც კი არ დასძრავს ეს ეგრედ წოდებული და უკაკრაული „რევოლიუციონური“ სოციალდემოკრატია **ფიცზე**, იმ ფიცზე რომელსაც ის სავალდებულოდ იღებს არსებული სოციალური და სახელმწიფოებრივი წესწყობილებაზე.

სოციალდემოკრატიული რევოლიუციონური პედაგოგია შესდგება პარლამენტარიზმში — ჩვენი რევოლიუციონური პედაგოგია კი ბრძოლაში.

სოც.-დემოკრატია და ზოგი სოციალ.-რევოლიუციონერები დღეს რევოლიუციონერობენ მონარქიის წინაამდეგ და პარლამენტარიზმის დასამყარებლად, ანარქისტები კი რევოლიუციონერები არიან თვითმპყრობელობის და თვით პარლამენტის წინაამდეგაც. ს.-დემოკრატები და ს-რევოლიუციონერები არიან დღეს რევოლიუციონერები ხვალ კი არა, სოციალისტები და არიან და ხვალ დღეს კი არა ანარქისტები სოციალისტები და რევოლიუციონერები არიან დღესაც და ხვალაც. მათთვის საუკეთესო სასწავლებელი პარლამენტია, ჩვენთვის კი რევოლიუციონური ბრძოლა. ბრძოლა ხალხისათვის ბუნებრივი უნივერსიტეტია, სადაც ხალხი უფრო და უფრო ცნობიერდება, სადაც ის ეჩვევა შეგნებულ სიყვარულს და სიძულვილს, არჩევს შეუცდომად თავის მტრებს და მეგობრებს, ეჩვევა თავისუფლების ძიებას და მოხმარებას.

თუმცალა ლაჩარი ბურჟუაზული ინტელიგენცია და ჩვენი უვიცი „მეცნიერული სოციალიზმის“ მომხრე სოც-დემოკრატია სახლში, ქუჩაში გზა ჯვარედინზე სულ იმას ქადაგობს, რომ მთავრობის ძალას შეგნების კედელი დავახვედროთ, ჯერ შეგნება და შემდეგ ბრძოლაო, მაგრამ „ჯერ შეგნება და შემდგომ ბრძოლა“ შეუძლებელია იმ გვარადვე როგორც ჯერ გარსი და შემ-

დეგ შინაარსი. შეგნება ბრძოლაში შეიძინება და ბრძოლა შეგნებაში გამოიხატება. ვისაც უნდა მეტი შეგნება ჰქონდეს, იმან მეტი უნდა იბრძოლოს, ვისაც მეტი შეგნება აქვს ის უფრო იბრძვის. გადახედეთ ეხლა მთელი კაცობრიობის ისტორიას და დაინახავთ, რომ შეგნება სწორედ იმ ხალხს აქვს მეტი, რომელსაც მეტი უბრძოლია თავისუფლებისათვის. გადახედეთ ინგლისის ისტორიას, გადახედეთ ისპანიის, ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიის და ბოლოს საფრანგეთის ისტორიას ერთი მხრით და გადახედეთ მეორე მხრით გერმანიის ავსტროვენგრიის რუსეთის და სათათრეთის ისტორიას.

აიღეთ საფრანგეთი ერთი მხრით და გერმანია მეორე მხრით: მილიტარისტული გერმანიის სოც-დემოკრატია გამხდარა ჩვენ სოციალ-დემოკრატიზს იდეალი. რას ვხედავთ აქ? რას და იმას, რომ გერმანელ სოციალ დემოკრატია თავისი „შეგნებული“ მუშებით სრულებით არ არიან რევოლიუციონერად მომართული, მათი სამ მილიონიანი მასსა აღიზარდა არა ბრძოლაში, იმათ შეგნება ბრძოლიდგან კი არ შეუძენიათ, არამედ თავიანთი „შეგნება“ შეიძინეს მწიგნობართა და ფარისეველთა ხელმძღვანელობის ქვეშ. რა გააკეთა გერმანიის ხალხმა ან სოც-დემოკრატიამ 40 წლის განმავლობაში? არაფერი. რა გააკეთა საფრანგეთის ხალხმა? დიდი-რევოლიუცია, 1830 წლის რევოლიუცია, 1848 წლის და 1871 წლის რევოლიუციები, დრეიფუსის საქმე, ეს ნახევარი რევოლიუცია.

ამის შემდეგ ჩვენთვის გაუგებარია, რათ შეჰყურებს რუსეთის სოც-დემოკრატია სიყვარულით სავსე გულით და ლმობიერი ცრემლებით თვალში შეხარის და შეღადადებს ცენტრალისტურ, მილიტარისტულ და ყაზარმული სულით აყროლებულ გერმანიას.

როდესაც სოც.-დემოკრატებს და სოც.-რევოლიუციონერებს ვამხელთ პარლამენტარისტულ მათ ტაქტიკას მაშინ ისინი ერთ და იმავე ჰანგზე უნისონით გაიძახიან: „თქვენ ანარქისტები წინააღმდეგი ხართ პოლიტიკური ბრძოლის და ამიტომ, როგორც თქვენ ისე მთავრობა ეწინააღმდეგებით პარლამენტარიზმს და ამ გვარად ხელს უწყობთ თვითმპყრობელობასო“. მაგრამ „მეცნიერული სოციალიზმის“ მომხრეებს და მის უკანონო შვილებს ავიწყდებათ, რომ არის პოლიტიკა და პოლიტიკა, პოლიტიკა მთავრობის, პოლიტიკა ოპურტიუნისტების და პოლიტიკა რევოლიუციონური. მთავრობის პოლიტიკა შესდგება სხვების პოლიტიკური უფლებების უარყოფაში თავის სასარგებლოთ; — ოპორტიუნისტების პოლიტიკა კი ნამდვილი უარყოფა არის ყოველ გვარ თავის პოლიტიკურ უფლებების, ის პოლიტიკური უპიროვნობა არის.

პოლიტიკური, უპიროვნება რომელიც შედგება იმაში, რომ, რომელიმე პარტიას, რომელსაც ძლიერ დიდი მადა აღძვრია პოლიტიკური ძალის ხელში ჩაგდების ხედავს თავის არა რაობას და ცდილობს ყველა ვარგებული და უარგისი საშვალებით რამე გახდეს. არარაობისაგან რამედ გახდომა კი შესაძლებელია მისთვის მხოლოდ იმით, რომ ის უნდა გახდეს კუდათ რომელიმე მძლავრ პოლიტიკურ პარტიისა. მაგრამ, რადგან ზოგი პოლიტიკური პარტია შეპყრობილია ხანგრძლივი განუკურნავი სისუსტით და ზოგი მძლავრი პარტია დღეს ხვალ ადგილს უთმობს მასზე უფრო მძლავრს, ამიტომ უძლურებისაგან განუკურნავი პარტია ხან ერთი რომელიმე უმძლავრესი პარტიის პოლიტიკას მისდევს, ხან მეორე უფრო გამძლავრებული პარტიის. ჩვენი სოციალდემოკრატები და სოციალ რევოლიუციონერებიც ამ გვარად იქცევიან ხან ლიბერალებს შეურთდებიან ცენტრის წინააღმდეგ, ხან ცენტრს ლიბერალების წინააღმდეგ, ხან ანტისემიტებს ებრძვიან ლიბერალებთან ერთად, ხან ანტისემიტებთან ერთად ებრძვიან ლიბერალებს და სხვა იქ სადაც არაფერი ხიფათი მოელისთ თავის თავს რევოლიუციონერებს უწოდებენ და იქ კი სადაც თავისი ქურქის დახევის ეშინიათ მეცნიერული გამომეტყველებით რეფორმისტებს უწოდებენ თავის თავს.

ჩვენი რევოლიუციონური პოლიტიკა კი შესდგება ამ გვარ პოლიტიკების უარყოფაში. ჩვენ ანარქისტებს ვერ შეგვიგნო, რომ სხვისი მიზნებისთვის ბრძოლით, როგორ უნდა მივაღწიოთ ჩვენ მიზნებ. იმ დროს განმავლობაში, რა დროსაც ჩვენ სხვისი მიზნებისთვის ვიბრძვით არა თუ არაფერს ვაკეთებთ ჩვენი მიზნის განხორციელებისათვის, არამედ ვაგვიანებთ ჩვენი მიზნების განხორციელებას სხვის მიზნებისთვის დახარჯულ დროის შესაფერად და არ ვახმართ ჩვენ მიზანს ამ დაკარგული დროის პროპორციონალურ ენერგიას. ეს მაინც უტყუარი პრინციპია მექანიკაში. ჩვენ, ანარქისტებს ვერ შეგვიგნია იმ ადამიანების, იმ სოც.-დემოკრატიული მოლაპარაკე და მწერალ მანქანების ლოლიკა, რომლითაც ისინი „საბოლოოვო იდეალში სახელმწიფოს წინააღმდეგნი არიან“ და დღეს ჯერ-ჯერობით კი ცდილობენ პარლამენტში იმოღვაწონ, პოლიტიკური ძალთა ხელში ჩაგდებას, ე. ი. სახელმწიფო მანქანის დასაკუთრებას. ჩვენთვის ანარხისტებისთვის ამ გვარი ლოლიკ მიუწვდენელი სიღრმეა აზროვნებისა, ვერ ვხდებით ამ ლოლიკას, ვინაიდგან აქ არავითარ ლოლიკას არ ვხედავთ. ჩვენი ანარხისტული აზრით და ლოლიკით უფლების, პოლიტიკური ძალის ხელში ჩაგდებას შეუძლია იქონიოს მხოლოდ ერთი შედეგი: ამ უფლების ძალის გაგრძელება და ამას თან მისი შესაფერი მონობის.

J. La Flamme.

# ახალი ამბავი

**როგორც „ჩერნომორსკი ვესტნიკი“ გადმოგვცემს პეტერბურგში დაუტუსაღებიათ ი. ჭავჭავაძე და ი. რამიშვილი.**

— დეკანოზ გოროდცევს ნამესტნიკისათვის უთხოვნია 15 და 22 ივლისს ჯვარით ხელში პროცესიებ-

# ფელეტონი

## რევოლუციათა ისტორიიდგან.

რას ვეძახით ჩვენ რევოლუციას? ეს კითხვა იმდენად საინტერესოა ჩვენ დროს, რომ ამაზედ სწორი პასუხი უნდა გვქონდეს. ეს მით უფრო საჭიროა ჩვენთვის, რომ არც ერთი რევოლიუცია არ მომხდარა კაცობრიობის ისტორიაში, რომ მის დასაწყისში, ამ უზარ-მაზარ სოციალურ მოვლენას ყველა საზოგადოებრივი ჯგუფები მოძრაობაში არ მოეყვანა. რევოლიუციის პირველ ხანებში სდგებოდა უზარ-მაზარი ბლოკი, რომელშიაც თავს იყრიდა პროლეტარიატიც და გლეხობაც — ბურჟუაზიაც და სამღვდელოებაც და აგრეთვე სხვა ჯგუფებიც, რომელთაც კი ჰქონდა რაიმე სოციალურ თავისებურობის პრეტენზია. საჭიროა ვიცოდეთ როგორ ესმოდა ყველა მათგანს რევოლიუცია და სად ხედავდა მის ბოლოს? გამჭრიახი თვალი უმალ შეატყობდა თუ რანაირ თვისებისა იყო რევოლიუცია. განვლილ რევოლიუციათა ისტორიებში ჩვენ ერთ მოვლენას ვატყობთ.

როდესაც რევოლიუციის ავტორიტეტი იმ ცნათ იქმნებოდა გაძლიერებული მუშათა და გლეხობის წყალობით, რომ მხოლოდ მასში და იყო ხსნა საზოგადოების მოწყობისა, რევოლიუციის ასპარეზზედ გამოდიოდა ახალი პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც სამოქალაქო ომს, როგორც ჯგუფი გონებრივად დაწინაურებულ ხალხისა, დიდებულ ორატორებს. „ხალხის მეგობრებს“ და ეგრედ წოდებულ „პოლიტიკურ მოღვაწეთ“ სძენდა, რომელთა ხელში გადადიოდა ბედი რევოლიუციისა. მათი მჭერ-მეტყველება, ამ დღიდან თოფისა და ზარბაზნის მაგიერობას სწევდა. ჩვენ მერე დავინახავთ, თუ როგორ შხაამდა მთელ რევოლიუციონურ ეპოქას ეს მჭერმეტყველება!

თუ ამ ახალ ჯგუფის გამოსვლამდე საზოგადო მდგომარეობა ისეთი იყო რომ სახელმწიფო თავის ატრიბუტებით და სოციალური განწყობილება ძირიან-ფესვიანად განადგურებული იყო და მის ნანგრევებზედ ახალი საზოგადოებაა რომლის იდეურ და ფსიხიურ ცხოვრებაში უკვე მომხდარიყო ზნეობრივ ღირებულების გარდაქმნა, ეს საზოგადოება ლამობდა ახალ ორგანიზაციის მოწყობას, რომლის შინაარსშიაც შავბნელ წარსულის ნიშნებს ველარ ნახავდით, აი ამ დროს ეს ახალი ჯგუფი, სასტიკ განაჩენს უწერდა მთელს კაცობრიობას და თავის ლამაზ სიტყვებთან ჯოჯოხეთს უგზავნიდა ისევ ტანჯულ ჩაგრულებს. საშინელი თვალწარმტაცია რევოლიუცია! პირველ ხანებში, როდესაც საზოგადოების სინიდისი აჯანყებულია, მებრძოლი მუშა — ნამდვილი რევოლუციონერი ვერ შეიტყობს საით იხრება სასწორი რევოლიუციისა, რადგან ის თვით არ ულალატებს მას და სხვები კი ერთგულნი არიან! აი, ამ რევოლიუციონურმა კორიანტელმა დალუპა ყველა ცდა თავისუფლებისს მწარმოებელი მხოლოდ ბოლოს გაიგებდა ხოლმე, როდესაც რეაქცია გამარჯვებული იყო. რომ ის მოტყუებული დარჩა მუდმივ მატყუართაგან, რომელთაც ფიცი ღალატი იყო და თავისუფლება კი — ისევ მონობა!

ნამდვილათ კი ამ ხანებში ეს ამბავი ხდება. დიდი ბრძოლის შემდეგ მწარმოებელმა რევოლიუციის იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ყველა მის აქტს თავისი საკუთარი ლოღიკა ჰქონდა. აღგავა დედამიწის ზურგიდან ყველანაირი დაწესებულებანი რომლებიც მას სისხლს სწოვდენ და სახელმწიფოს განატკაცებენ. მიწაზედ კერძო საკუთრება მოსპო და თუმცა სხვა ახალი სისტემა ვერ შემოიღო, რადგანაც ვერ მოასწრო, მაგრამ პირველი საქმე გათავებული იყო, იმიტომ, რომ სწმინდა მიწა ათასნაირ მცოცავებისგან და ძალად მოპატრონეთგან და აღიარა იგი სასოფლო... ეს ისეთი ფაქტებია, რომ ყველას თვალში ეჩხირება. ვერავინ ... ვერ იტყვის მაშასადამე იმ ... მოქმედებით ძალაზედ რომელიც გამოიჩინა ხალხმა, მაგრამ აქ სულ სხვა რამე იჩენს თავს ვისთვისაც საჭიროა კარგად ესმის მას, თუ რას ნიშნავს ისეთი რევოლიუცია, რომელმაც არსებულ წესწყობილების დანგრევის პროცესი მშვენივრად შეასრულა. მაშასადამე მწარმოებელი იმით არ დაკმაყოფილდება; ის სხვა რამესაც მოინდომებს. ისტორიისაგან დატანჯული, ის აღარ ისურვებს წარსულის ნასახათ აღდგენას. ... ფიქრობს ამ დროს რეაქცია, რომელიც, რევოლიუციონურ ტანსაცმელში გამოსული თავს დაესხ...

გამართვის ნებართვა. (ამ დღეებში საუფლისწულო უქმეებია. 15 ივლის წმ. ვლადიმერისა და 22 მარიამ ღედოფლის). ნამესტნიკს ასეთი თხოვნა არ შეუწყნარებია.

— მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ კვირას, 16 ივლისს ფუნიკულიორის ახალს თეატრში დანიშნულია ქართული წარმოდგენა დაკლებული ფასებით. წარმოდგენილი იქნება სამ მოქმედებიანი მხიარული კომედია „ვაის გავეყარე-ვუის შევეყარე!", რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ ბ-ნნი აბაშიძე, ვ. გუნია, ივანიძე და სხვანი. ბილეთის მყიდველთ ფუნიკულიორზე უფასოდ აიყვანენ და ჩამოიყვანენ კიდეც. შაბათს ამავე თეატრში დანიშნულია საქველმოქმედო წარმოდგენა ტრამვაის უსაქმოდ დარჩენილ მოსამსახურეთათვის.

— ქალაქის თავი ყოფილა 13 ივლის გენერალ-გუბერნატორთან მოსალაპარაკებლად შესახებ გავრცელებულის ხმებისა რომ 14—15 მოსალოდნელი „პოგრომებიო" გენერალ-გუბერნატორს უპასუხნია, რომ ყოველივე თვითნებობას და ყოველივე მანიფესტაციას იარაღით მოვსპობთო. ასე, რომ მთავრობა ირწმუნება „პოგრომები" აღარ იქნებაო.

— 13 ივლის ღამის 1 საათზე „ახალი ცხოვრების" რედაქციაში მისულან მე 4 უბნის ბოქაული, უბნის ზედამხედველი, გოროდოვოები და ორი დარაჯი. პოლიციის წარმომადგენლებს მთავრობის განკარგულებით დაუკეტიათ რედაქცია.

— ბაქოდან იტყობინებიან, რომ იქაურს სატუსაღოში აღმოუჩენიათ ხვრელი ადლის სიღრმეზე 2 ადლი სიგრძით და ერთიც სიგანით. თხრილი გაყვანილი ყოფილა სანაგვე ყუთისკენ. თხრილი დროზე შეუმჩნევიათ და ამნაირად ტუსაღებს გაქცევა ველარ მოუსწრიათ.

— როგორც მკითხველებმა უწყიან ამ ერთი თვის წინათ დაიჭირეს ბომბით ხელში ვართანოვი. აგერ რამდენიმე დრო გავიდა და ვართანოვი საკომენდანტო სამმართველოშია მოთავსებული. ამბობენ, რომ ვართანოვის საკომენდანტოში დატოვებას ახლო კავშირი ჰქონია ამ უკანასკნელ დროს მრავალი პირების დაპატიმრებასთან.

— ამ დღეებში კრება ჰქონდათ სამოქალაქო ექიმთა წარმომადგენლებს. განიხილა საქმე მიხეილის საავათმყოფოს სულით ავათმყოფთა განყოფილებისა. ეს განყოფილება მეტად ცუდს მდგომარეობაში ყოფილა. ექიმთა კრებამ დაადგინა იშუამდგომლონ ქალაქის გამგეობასთან, რომ გაფართოვებულ იქნეს სულით ავადმყოფთა განყოფილება მიემატოს 50 საწოლი და სხვ. კრებამ დაადგინა გთხოვოს ქალაქის მართველობას, რომ მან როგორმე დღეს დღეობით გამოძებნოს საშუალება 15 საწოლის მომატებისა.

— როგორც საჩხერიდან გვატყობინებენ ჭრუჭულის ღელის თავში უნახავთ მოკლული ჩიხის მამასახლისი როსტომ ჩიხორია. ჩიხორია, როგორც გამოძიებამ გამოარკვია 9 ივლის დაბრუნებულა კანცელარიისგან მთის ბილიკით თავის სახლში მთები თავს დასცემია ვიღაც ხანჯლის ჭრილობით მოუკლავთ.

— როგორც გადმოგვცემს ადგილობრივ პატრიოტულ საზოგადოებას გაუგზავნია ხელმწიფე იმპერატორისთვის სამადლობელი დეპეშა, რომ მან განდევნა „კრამოლნიკების დუმა.

— ნინა ე. ბარისოვისას განუცხადებია პოლიციაში, რომ 9 ივნისს ვიღაც უცნობებს ანარხისტების სახელით მოუთხოვიათ მისთვის 600 მ.

13 ივლისს მისულა მასთან ვიღაც უცნობი ყმაწვილი კაცი გადაუციათ ბარათი, რომელშიდაც მას სთხოვდენ 1000 მ. სამი დღის განმავალობაში. იმავე საღამოს მისულა ისევ ის კაცი ფულისთვის, მაგრამ პოლიციას შეუპყრია, როგორც ეს კაცი ისე მისი ამხანაგი, რომელიც გარეთ, უცდიდა. პირველი მათგანი ყოფილა ახალ-ქალაქის მაზრის მცხოვრები ტერ-გრიგორიანცი მეორე კი ს. ალ. აბრამიანცი.

## კორესპონდენცია

**ჭიათურა.** 10 ივლისს აქ სადურის მახლობლად დაინიშნა კრება, სადაც დაესწრო 30-მდე მუშა, რომლებიც უმეტესობა ამ მუშებისას შეადგენდა უმუშაო დარჩენილები. კრებაზედ ილაპარაკეს როგორც სოც.-რევოლიუციონერებმა ისევე სოც დემოკრატებმაც. ლავდაპირველად ს.-რევოლიუციონერებმა გააცნეს მუშებს დღევანდელი მუშების გაჭირვებული მდგომარეობა და აუხსნეს შინაარსი ამ გაჭირვებისა, შეხედულება სოფლის გლეხებზედ და ქალაქის მუშებზედ, ილაპარაკეს მიწის მუნიციპალიზაციაზედ და დღევანდელ სახელმწიფო სათათბიროზედ: მაგრამ რომ მოგეხსნებათ, წყალ წაღებული ხავს ეკიდებოდაო, ისრე ემართებათ ბ-ნ სოც.-დემოკრატებს; ჩამონაჭრები გაუსხლტათ ხელიდან და ეხლა რაღაც მუნიციპალიზაციას ებღაუჭებიან, მაგრამ მისდა საუბედუროთ ისიც მალე გაჰყვება უკან მიწის „ჩამონაჭრებს". როგორც წინად ხდებოდა მუშებთა შორის აურზაური და ყვირილი ისრე აღარ მოხდარა, რადგან მუშებიც თანდათან იგნებენ და ინტერესდებიან გაიგონ სხვადასხვა პარტიების შეხედულება მშრომელ ხალხზედ. კაი ხნის ლაპარაკის შემდეგ მუშებმა ამოირჩინს თავიანთ ამხანაგ მუშებიდგან ხუთი კაცი რომლებსაც ევალებათ სოც.-რევოლიუციონერების ხელმძღვანელობით რაიმე წყარო აღმოუჩინონ, ამ უმუშავრად დარჩენილ მუშებთ. უმუშევრად დარჩენილ მუშათა რიცხვი შეადგენს 200-მდე კაცს. ამ მუშათა ამორჩეულ ბიურომ დაადგინა შემდეგი: 1). მუშათა ბიურომ დეპეშა გაუგზავნოს ქუთაისში, მრეწველთა საბჭოში, სადაც მოითხოვენ (требуютъ) დახმარებას. ამ ულუკმოპუროდ დარჩენილს მუშებისას. 2). გაიგზავნა აგრეთვე ბიუროს გადაწყვეტით ქუთაისში კაცი რომელიც სიტყვიერათაც მოელაპარაკება და დაავალებს საშჭოს დახმარება აღმოუჩინოს ამ მუშებს უფასო სასადილოთი, იქნობამდის სანამდინ სამუშავარს იშოვნიან. 3). ბიურომ

---

ლებს რევოლიუციის და თუმცა ძველ წეს-წყობილებას სამძიმეს არ ევნება—პირიქით გულზედ ხეთქამს მაგრამ მწარმოებელის ზურგს უკან დიდ საფლავსა სტირის, რომელშია ის მის ძალებს დამარხამს და ზედ შავძელს წადგავს, რომელზედაც წააწერს: თავისუფლებაო!

სოციალურ ლიტერატურაში მიღებულია მაგალითების ძებნა დიდ რევოლიუციაში. და მართლაც ეს ადვილი ასახსნელია იმით რომ ამ რევოლიუციაში დიდი ანდერძი დაუტოვა კაცობრიობას ამ რევოლიუციამ დაგვიხატა ის მდგომარეობა, რომელსაც განიცდის საზოგადოება თუ მის აგებულობის მომქმედი ელემენტები ისე საპირისპირო მომრაობაში მოვლენ რომელიც დაგვირგვინდება რევოლიუციით. კიდევ ბევრ რამეს გვასწავლის საფრანგეთის რევოლიუცია, მაგრამ მაგალითების მას ნუ მივმართავთ.

მოვძებნოთ სხვა რამე.

რუსეთის რევოლიუცია თუმცა არ დამთავრებულა, მაგრამ მან ზოგიერთი ფაზისები უკვე გაიარა და მის ისტორიაში ბევრი რამ საგულისხმო აღიბეჭდა. მასში უკვე საკვსებით გამოიხატა ის ტენდენციები, რომლისკენაც იყო მიმართული იგი. ამ მხრივ გლეხთა მოძრაობა საოცარ მოვლენას წარმოადგენს, მაგალითისათვის, რომ საქართველო ავიღოთ, თვალწინ წამოგვიდგება ძლევა მოსილი მსვლელობა რევოლიუციისა. კერძო საკუთრება და სახელმწიფოს შემადგენელი ელემენტები უცბად დაეცნენ. მიწა განთავისუფლდა, მისი პატრონი მთელი სოფელი შეიქმნა. მთავრობის დაწესებულებანი გაქრნენ, ჯერ რევოლიუციონურის ძალით და მერე ლოღიკურად. მათი არსებობა აღარავისთვის არ იყო საჭირო, რადგანაც ყველა სოფელმა საკუთარი ორგანიზაცია დაკავშირებული სხვა ჯგუფებთან და ნათლად დაანახვა მთელ კაცობრიობას თუ საითკენ მიდის რევოლიუციის ტალღა რა შეადგენს რევოლიუციონერის დეაზრს, იმ დროს როდესაც ძველი წეს-წყობილება ჯერ ყოფილია და ის შესდგომია ახალ სისტემის შექმნას.

რა მოხდა მერე?

რეაქციამ გაიმარჯვა და თავისუფალ სოფლებს წართვა ახლად შეძენილი ფუნქციები მაგრამ საოცარი სხვა რამ იყო! ერთის მხრივ, რომ დამსჯელი, ექსპედიციები მოქმედებდნენ და რევოლიუციონერთა სწყვიტავდენ, მეორეს მხრივ დარბეულ აწიოკებულ ხალხს ეუბნებოდენ შენი წარმომადგენელი ამოირჩიე, იმან ილაპარაკოს და შენ კი ხმა ჩაიწყვიტეო. ჩვენი საქმე არ არის, რანაირი იყო ის კონსტიტუცია, რომლისათვისაც უნდა შეეყრილიყვნენ ხალხის წარმომადგენელნი, რადგან, პრუდონისა არ იყოს: ყველა-ნაირ კონსტიტუციას — მისი უარ ყოფა სჯობიან და ჩვენც თვით ამ იდეის წინააღმდეგნი ვართ. სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, რომ რეაქცია გამჭრიახის თვალისაა და მან იცის დროს შერჩევა. სამარმა წესებმა და შეუწყვეტელმა ხოცვა ჟლეტამ ისე მოღალა რევოლიუციონური მასსა, რომ მასაც ისეთი წუთი დაუდგა, როგორც პარიჟის მშრომელს ხალხს, რომელიც კონვენტის უკანასკნელ მოქმედებას ყურადღებას აღარ აქცევდა, როდესაც ეს უკანასკნელი უკვე ბურჟუაზიულ ორგანიზაციას ჰქმნიდა. რითი აიხსნება ეს მოვლენა. რევოლიუციაში უნდა ვეძებოთ ამის მიზეზი. რევოლიუცია იმდენს ენერგიას ხარჯავს მწარმოებლისას და ეს უნდა ყოველთვის ახსოვდეთ მათ, ვისი საქმეც რევოლიუციის ინტერესების დარაჯობაა, რომ განახლებულ რეაქციის დროს მშრომელი ხალხი ამბოხების ქარიშხლით მოღლილი, რომელსაც სწყვეტენ და სიცოცხლეს უმწარებენ — ის თითქმის ინდიფერენტიზმით არის გამსჭვალული და მას შესვენება სჭირია, რომ კვლავ შეუდგეს ამ მყრალ ატმოსფერის განწმედას. და თუ ამას დაუმატებთ იმას, რომ სწორედ ამ დროს გამოდის ასპარეზედ საზიზღარი „პოლიტიკანიზმი," რომელიც თავის გამხრწნელ თვისებით სპობს ყოველივე სიღრმეს რევოლიუციის, მაშინ გასაკვირველი აღარ არის ის მოვლენა, რომ მწარმოებელთა მასსა ისეთი აფთარი აღარ არის, როგორც წინეთ. თუმცა ჩვენ დავინახამთ, რომ სწორეთ ეხლა სჭირია მას ამბოხების სულის განდიდება და საშინელი, გამკიცხავი შერჩევა თავისუფლების მეგობართ.

შ. ა.

დაარსა კასსა, რომელიც ფულით დახმარებას გაუწევს ყველა თანამგრძნობთ ბიუროსი, დღემდე შემოვიდა 12 მანეთი.—მეორე უმთავრესი საკითხი ბიუროს კრებისა: რა საშუალებით გამოუძებნიან მუშებს სამუშაოს? ამ კითხვის შესახებ მიიღეს შემდეგი დადგენილება. მიმართონ ქიათურაში მომუშავე მუშათა ბიუროს გამართონ მათთან ამ საკითხზედ მოლაპარაკება და იყოლიონ თავიანთ ბიუროში, მომუშავე მუშათა ბიუროსაგან წარმომადგენელი. ამ გვარ საშუალებით აცნობებს ბიურო მუშებს თავიანთ დადგენილებებს. ასრე, ამ გვარად ჯერჯერობით მუშათა ბიურო შეუდგება საქმეს და ეცდება რაიმე საშუალებებით აღმოუჩინოს რამე რომ შიმშილით არ დაიხოცონ მუშები. ამაზე რასაკვირველია სოც.-დემოკრატები თავიანთი ბინძური დემაგოგიური საშუალებით ცდილობენ დაარღვიონ ეს ბიურო რადგან სოც.-რევოლიუციონერები ხელმძღვანელობენ, და ასრე მოუწოდებენ მუშებს ხოლმე „არ გცხვენიათ მიეყიდეთ სოც.-რევოლიუციონერებსო? სადილისათვის და პურისათვის გადადით იმათ პარტიაში?“ და სხვა და სხვა. ვინ იცის რას არ ჩარჩურჩულობენ მუშებს ს. რ. წინააღმდეგ მართლაც რომ სირცხვილი ბ-ნო სოციალ-დემოკრატიებო!! რომ ამ დროს ოხუნჯობით ეკიდებით მუშებს. ეს მოყიდვას და მოქრთამას არ ნიშნავს ბატონო ს.-დემოკრატებო! არა და არა, გაიგეთ, ყოველი პარტია ან ჯგუფი, თუ მართლა ის ცდილობს გზის გაკაფვას მუშებისათვის, თუ კი მართლა ის გამოსულა მუშების ინტერესების დაცვისათვის, ვალდებულია აღმოუჩინონ ყოველივე დახმარება და გზა გამოუნახონ მუშებს რომ შიმშილით არ დაიხოცენ. რა უნდა გითხრათ ამის შემდეგ, თქვენ ვაჟბატონებო! როდესაც დღეს 200 მუშაა ქიათურაში ულუკმო პუროდ და იგინიც ოხუნჯობით ემუსაფებით რას იზამთ მაშინ როდესაც თქვენი პროლეტარიზაციით მთელი მილიონებით გლეხობა დარჩება ულუკმო პუროდ?! მაშინაც დარწმუნებული ვარ, თუ ვინმემ გზა უჩვენა ამ გზაზედ გაიარეთო, თქვენ ოხუნჯობით მიმართავთ ხოლმე, არ გცხვენიანთ მოგიყიდათ? ამის ფაქტები დღეს გახლავთ ქიათურაში მაგრამ არა უშავს, თქვენ შინაურ დემაგოგოს, თქვენ ბინძურცილის წამებას აწ მიგიხდებით მუშები და მაშინ ვნახოთ ვისთან ვასწევთ დემაგოგობას. რაც უფრო შეიგინებს მუშა ხალხი მით უფრო ჩოალდებათ თქვენ პარტიას, იცოდეთ ეს ვაჟბატონებო! რაც უფრო დემაგოგობას გასწევთ, მით უფრო ნიადაგი გამოეცლება თქვენ საქებურ პარტიას. უმჯობესი იქნება დემაგოგობას თავს დანებებდეთ და თქვენ უკუღმა პროგრამას უდემაგოგოთ აუხსნიდეთ ხალხს, მაშინ დავინახავთ რამდენი მოგემხრობათ!? მაშ ასრე ვაჟბატონებო, ნუ ოხუნჯობთ ულუკმო პუროდ დარჩენილ მუშებზედ და ნუ ეუბნებით მოყიდული ხართო თორემ, პასუხს მოგთხოვენ მაგაზედ თვითონ მუშები.

მუშა პ გუჯაბიძე.

—

**კისლავოდსკი.** მე გიორგი ჯვარიშეიშვილი, რომელიც ვარ სოფლის მუშის შვილი—კარგად ვიცი გლეხ-მუშების მიმართულება, მათი მწუხარეაა მე აქედან წაველი რუსეთში იქაც კარგად გავიგე პროლეტარიატის მწუხარება. დღეს ყველა პარტიის მოძღვრებას გავეცანი. და ქვეყნიერებაში მუშის დამცველი არავინ არ ყოფილა ეხლა მე კარგად ვარ დარწმუნებული რომ, მუშათა განთავისუფლება უნდა მოხდეს თვით მუშათა მიერ. უნდოდათ ქამელეონებს ჩემი სხვანაირ ბურჟუაზიული ნიადაგზე წაიყვანა მაგრამ მე მალე გაუგე მათ. მალე მე შევიტყვე და წავიკითხე ბაკუნინის, კროპოტკინის მოძღვრება და კიდევაც მრწამს მათი სწავლა მე მუშების განმათავისუფლებელ მოძრაობისა დღეს ვხედავ მე რომ საწყალ მუშას ჰყოფენ ათასნაირათ ბურჟუაზიული პარტიები, რაიც ძალიანი მავნებელი არის მუშებისთვის.

გიორგი ჯვარიშეიშვილი.

## რუსეთი

როგორც „პუტს“ შეუტყვია, ვლადიმირის გუბერნიაში დაწყობილა აგრარიული მოძრაობა. გლეხები თიბავენ მემამულის ადგილებს და ჰკაფავენ ტყეებს. ბევრი წილი მემამულენი არაფერს ზომებს არა ხმარობენ, ანებებენ თავს ეკონომიებს და მირბიან; ზოგიერთებმა კი გადასწყვიტეს რომ დაიქირაონ დარაჯები და დაიცვან თავიანთ მამული.

—

პრეობრაჟენსკის პოლკის ჯარის კაცებს, კიდევ ეტყობათ მღელვარება, იმათ თხოულობენ 1 ბატალიონის დაბრუნებას.

—

ღამე 23 ივნის. ცეცხლი გაუჩნდა იაროშის სახლს, ბობრუისკთან ახლო მდებარე კრივო-იკრიუკს, ერთ დამწვარ სარაიაში იპოვეს დიდძალი იარაღი, თოფები და ცივი იარაღი, დაბუგული ცეცხლით მოკრებილი იარაღი გაგზავნილ იქმნა პოლიციაში, მაგრამ იარაღის პატრონი კი არ დაატუსაღეს.

როგორც „სვობოდნოე სლოვო“ გადმოგვცემს სხვა და სხვა ხმები დადის ამ იარაღზე. ერთი იძახიან რომ იაროში „წმინდა რუსის კავშირის“ წევრიაო, რომელიც ინახავდა იარაღს აწიოკების დროისათვის, მეორენი კი ამბობენ, ვითომ იარაღი მოპარული იყოს სამხედრო იარაღის საწყობიდგან 15 წლის წინათ.

—

(XX ვეკ.).

ეკატერინოდარის დისციპლინარულ ბატალიონის უფროსი აუწყებს მთავრობას, რომ ამ წელს ძლიერ იმატა დისციპლინარულ ბატალიონში გამოგზავნილთა დენამ. ივნისს ითვლებოდა 449 კაცი დაპატიმრებული, მაშინ როდესაც ადგილი მხოლოდ 400 კაცისათ.

—

უკრაინის ყაზახებმა გამოუშვეს მოწოდება, კუბანის კომიტეტის სოციალ.-რევოლიუციონურ პარტიის საშუალებით, რომელნიც მიმართავენ ყაზახებს და სალდათებს, რომ შეუმსუბუქონ მდგომარეობა ყაზახ-უკრაინელებს, რომელნიც 5 თვეა რაც დაჭერილნი არიან, და რომელთაც პროტესტი განაცხადეს „უდანაშაულო სისხლის დაღვრაზე. (XX ვეკი)

როგორც შეუტყვია „XX ვეკს“ თითო ტყვის მტყორცნელში, ჩვენი მთავრობა აძლევს ბაჟს გადმოტანაში საზღვარ გარეთიდგან 218 მან.

—

ქალაქ ნიკოლაევში, ხერსონის გუბერნიაში, 30 ივნისს გასკდა ყუმბარა, ანარქისტების ლაბარატორიაში, 3 პირი, რომელთაც დამოკიდებულობა აქვთ ამ საქმესთან მიიმალნენ, სხვები კი დაჭერილნი არიან. გაჩხრეკის დროს იპოვეს მრავალი მასალები სხვა და სხვა ასაფეთქებელ ნივთიერების გასაკეთებლად და შტემპელი ანარქისტის ჯგუფისა. (როსსია).

## დეპეშები

(რუსეთის სატელეგრ. სააგენ).

—

**პოლტავა.** შეიარაღებული ბოროტ-მოქმედნი დაესხნენ სოფელ სიტკაუს, პეჩერსკის სახლს, წაიღეს მრავალი ვეჯი და ფული, ავაზაკები მიიმალნენ.

**კიევი.** პოლტავის გზაზედ, დაესხნენ მოსაკლავად რკინის გზის სადგურის უფროსს სადაიდაკს. ბოროტ მოქმედნი მიიმალნენ.

**პეტერბურგი.** შეჩერებულია გაზეთი „ობრივ“.

მუშების გაფიცვის გამო, დაკეტილია ყველა თამბაქოს ქარხნები. ხმები საერთო გაფიცვის შესახებ უსაფუძვლოა.

**ვარშავა.** უცნობმა პირებმა მოჰკლეს სოლეც-ს ქუჩაზედ, უბნის ზედამხედველი კატუშევი.

**ვლადივასტოკი.** რკინის-გზის საქმეში მონაწილენი, სასამართლოს დადგენილებით, გამართლებულ იქმნენ გარდა, ინჟინერ პიოტროვიჩისა რომელსაც გადაუწყვიტეს 15 დღე დატუსაღება, და ექიმი ლან... კოვსკისა.

**ლოძი** როგის მამულში, დ... ნენ მიქარხნე სეფრენქეს, ორ... ჭრილია მძიმედ ერთი კი ... ბუქად.

კინდოლორ-ს ქარხანაში პაბ... ნიცაში, გაიფიცნენ 300 მუშა.

**ტომსკი.** ყაზახების მიერ გა... ტულ იქმნა მიტინგი. დაჭერი... 200 კაცამდე.

**ბელგრადი.** იტყობინებიან, ... ბიტოლთან შეეჯახნენ სერბიის ... ბოლგარიის ჩეტები, ბიტოლიის ... ლო.

**კოვნა.** გაცარცულია ღვინის ... ქანი.

**მოსკოვი.** ღამე გაცარცულ ... ნა ეკლესია პოკროვის ქსენონ... „მეშჩანის საზოგადოებისა. დარ... იპოვეს ხელებ შეკრული და ... ხრჩვალი. გათენებისას პოლიცი... ბმა დაიჭირეს ოთხი შეიარაღებ... რევოლვერებით, რომელთაც მიჰქონ... დათ პარკი საეკლესიო ნივთებ... მათ წაართვეს 400 მანეთი.

**ვარშავა.** აგენტს „კალინოვს... და პშეპიურკოვსკის ფირმისას... ეცნენ 10 კაცი, რომელთაც წაარ... თვეს 700 მანეთი.

**სტავროპოლი** ხელმეორედ ... ქირეს „ეჰზნ კრიმა“.

**პოლტავა.** მაზრაში ხელმეორე... გაჩნდა ცეცხლი სოფელ ლიევე... ცოვში დაიწვა ძნა.

ყოფილი საერობო მასწავლებე... სვეტლოვი ღამე დაიჭირეს.

**იაროსლავი.** იაროსლავის ახლო ტყეში ყაზახებმა ორი უბნის ზედამხედველით დაუწყეს სროლა ... მისტყვეს მათრახებით სამი ... ნადირე. მთავარ დამნაშავე ... ნის ზედამხედველი ბერტინს... დათხოვნილია სამსახურიდგან ... მისცეს სამართალში.

---

რედაქტორ გამომცემელი

**მიხეილ დიასამიძე**

---

## განცხადებანი.

**პოვლავთ** თვით... ხელი... მომწერლებს (თბილისში და თბი... გარეთ) შემოიტანონ ხვედრი ფულ... წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებუ... ლი ვიქნებით შევაჩეროთ გ... ზეთის გზავნა.

---

ვუმეორებთ ჩვენ აგენტებს პროვინციებში, რომ დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნონ ანგარიში წინანდელი ნომრებისა და დროზე მოგვაშველონ მისი ხვედრი ფული, წინამდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით შევწყვიტოთ თქვენთან გაზეთის გზავნა.

ელექტრონის სტამბა „გუტენბერგი“, სასახლის ქუჩა, სახლი ქარ. თავ.-აზნაურობისა.